ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2915338

ნომერი: AR1451517

თარიღი : 26.10.2016

გაცემის თარიღი : 31.10.2016

გაცნობის თარიღი : 01.11.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩუბინაშვილი , N 63 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლელა გულედანი პ/ნ 01019004522
- ვაჟა ფშაველას 16 ოფისი222

ორგანიზაცია:
- შპს სასკო კოდი: 205045636

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: #01.16.01.008.005) მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (საცხოვრებელი, კომერციული) განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას და ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე სამსახურის მიერ გაცემულია მშენებლობის ნებართვის სამივე სტადია საოფისე შენობის განსათავსებლად. გამომდინარე აქედან, რადგან შეთანხმებული დოკუმენტაციის საფუძველზე შენობა-ნაგებობა მშენებარეა და ექსპლუატაციაში მიღებული არ არის, უნდა მოახდინოთ №f-1/39 (13.11.2006) ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილება, ახალი საპროექტო ობიექტის ფუნქციის დაფიქსირებით; რისთვისაც Tas.ge–ზე ამავე განაცხადზე უნდა შეცვალოთ ნომენკლატურა და აირჩიოთ: >მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება და დააზუსტოთ მოთხოვნის ტექსტი. მოთხოვნილი ცვლილების განსახორციელებლად უნდა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის/ების შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა, ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ. ასევე შესაძლებელია ზემოაღნიშნული აქტის მესაკუთრეის კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი მინდობილობა ან თანხმობა. შესაძლებელია დააფიქსიროთ აღნიშნული პიროვნებების მონაცემები განაცხადის თანაგანცხადებლის ველში;

ვინაიდან მიწის ნაკვეთი მდებარეობს ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში, სამსახურს დამატებით ესაჭიროება ტერიტორიის ისტორიულ–არქიტექტურულ კვლევა და მასში დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინებით მომზადებული საპროექტო წინადადების ესკიზური ვარიანტი. ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის მოთხოვნას განიხილავს “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“, შესაბამისად უნდა წარმოადგინოთ სრულყოფილი ქალაქგეგმარებითი დასაბუთების ალბომი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 30 დღიანი ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება გამოსწორებული ხარვეზი, საკითხი დარჩეს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.